საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური
ეკონომიკური დეპარტამენტი

ECONOMIC DEPARTMENT OF THE SPECIAL STATE PROTECTION SERVICE OF GEORGIA

SSPS 3 20 00034762

02/12/2020

შპს „ინტერპრინტჯორჯიას“ დირექტორს
ბ-ნ ზ. ურუშაძეს

ბატონო ზურაბ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა და თქვენდამი რწმუნებულ შპს „ინტერპრინტჯორჯიას“შორის 2020 წლის 12 ნოემბერს გაფორმებული #404 ხელშეკრულების შესაბამისად, თქვენ მიერ მ/წლის 25 ნოემბრის ჩათვლით უნდა მოწოდებულიყო 2520 (ორი ათას ხუთას ოცი) ლარის ღირებულების საქონელი, რომელიც მოწოდებულ იქნა 2020 წლის 2 დეკემბერს, ანუ 7 დღის დაგვიანებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.2 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაგვიანებით შესრულებული ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ანუ პირგასამტეხლოს თანხა შეადგენს:

2520 ლარი x0.1% x 7 დღე= 17 (ჩვიდმეტი) ლარს და 64 თეთრს.

გთხოვთ, აღნიშნული თანხა (დამრგვალების გარეშე) 10 დღის ვადაში გადარიცხოთ შემდეგ რეკვიზიტებზე:
სახელმწიფო ხაზინა, ა/ა GE24NB0330100200165022, საბანკო კოდი – TRESGE22, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – 302004500 (სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის საურავი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევაზე). წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს მიმართ გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები.

პატივისცემით,

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური /
ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ილია ტარასაშვილი